



# მარტივი ენით დაწერილი სახელმძღვანელო სოციალური საბინაო დახმარების განაცხადის ფორმის შესავსებად

აპრილი, 2022 წელი




## რას ეხება სახელმძღვანელო?



წინამდებარე სახელმძღვანელო დაგეხმარებათ თქვენს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან სოციალური საბინაო დახმარების მისაღებად განაცხადის შევსებაში.

განაცხადის შევსებაში დასახმარებლად შესაძლოა დაგჭირდეთ სანდო ადამიანი.



სოციალური საბინაო დახმარების განაცხადი მოიცავს დიდი რაოდენობით ინფორმაციას და დოკუმენტებს.

სოციალური საბინაო დახმარების განაცხადის ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან, საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

## ვის შეუძლია მიიღოს სოციალური საბინაო დახმარება?



სოციალური საბინაო დახმარება შეგიძლიათ მიიღოთ იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ საკმარისი რაოდენობის სახსრები ბინის შესაძენად.

## სად შეგიძლიათ მიიღოთ სოციალური საბინაო დახმარება?



სოციალური საბინაო დახმარება შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან (ქალაქის ან ქვეყნის მმართველობითი ორგანო) ან სხვა უწყებისგან, სახელწოდებით „უფლებამოსილი საბინაო ორგანო“.

„უფლებამოსილი საბინაო ორგანო: არის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ადამიანების ჯგუფებისთვის საცხოვრებლის შეთავაზება, მაგალითად „Clúid“ და „The Simon Community“.

თქვენთან მიმართებით შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სამსახური შესაძლოა იყოს „უფლებამოსილი საბინაო ორგანო“.

## სოციალური საბინაო დახმარების ტიპები



ქვემოთ მოცემულია დახმარების ზოგიერთი ტიპი, რომლის მიღებაც შეგიძლიათ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან:

შეგიძლიათ დაიქირაოთ სახლი ან ბინა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან ან „უფლებამოსილი საბინაო ორგანოსგან“.



შეგიძლიათ იქირაოთ სახლი ან ბინა ისეთი სქემებით, როგორც არის საცხოვრებლის ქირაობის სქემა (RAS) და საბინაო დახმარების გადახდის სქემა (HAP)

საბინაო დახმარების მიღება შეუძლიათ მოხუცებს, უსახლკაროებს, მოგზაურებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.



თუ დახმარება დაგჭირდებათ განაცხადის ფორმის შესავსებად, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თქვენი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საბინაო განყოფილებას ან მოქალაქეთა საინფორმაციო ცენტრს.



თქვენთვის სანდო ადამიანსაც შეუძლია დაგეხმაროთ ფორმის შევსებაში.

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც გამოგადგებათ ფორმის შევსებისას



გთხოვთ გარკვევით დაწეროთ პასუხები.

მნიშვნელოვანია, რომ პასუხი გასცეთ ყველა შეკითხვას განაცხადის ფორმაში. თქვენი განაცხადი არ დამუშავდება, სანამ ჩვენთვის საჭირო ყველა ინფორმაცია არ იქნება შეყვანილი განაცხადში.

N/A

თუ შეკითხვა თქვენ არ გეხებათ, ჩაწერეთ N/A. დარწმუნდით, რომ ხელი მოაწერეთ ყველგან, სადაც საჭიროა თქვენი ხელმოწერა.



თქვენი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო დაიცავს მონაცემთა დაცვის გენერალურ რეგლამენტს და თქვენს ინფორმაციას.

თუ გექნებათ შეკითხვები ამასთან დაკავშირებით, მიმართეთ თქვენს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოს.



ფორმასთან ერთად უნდა გაგზავნოთ სხვა დოკუმენტებიც. საკონტროლო სია დაგეხმარებათ, რომ არაფერი დაგავიწყდეთ.

განაცხადი არ დამუშავდება, თუ ყველაფერს არ გამოგზავნით.






ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანომ შესაძლოა ბოლო მომენტში ასევე მოითხოვოს მეტი ინფორმაცია.

თუ თქვენი ინფორმაცია შეიცვლება (მაგალითად, დაქორწინდებით ან ახალ სახელში გადახვალთ), უნდა გაესაუბროთ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოს.



ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უპასუხოთ წერილებს და ელექტრონულ მიმოწერას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან.



თუ არ უპასუხებთ ყველა წერილს და ელექტრონულ მიმოწერას, ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანომ შესაძლოა ამოგშალოთ მოლოდინის სიიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ მიიღებთ სოციალურ საბინაო დახმარებას.

შეგიძლიათ აირჩიოთ ახლობელი, რომელიც დაგეხმარებათ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან მიღებულ წერილებზე და ელექტრონულ კომუნიკაციაზე პასუხის გაცემაში.

მათ თანა-კორესპონდენტებს ვუწოდებთ.



ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო შეატყობინებს თქვენს თანა-კორესპონდენტს, რომ წერილი ან ელექტრონული წერილი გამოგიგზავნათ.

გთხოვთ გადაიღეთ ყველაფრის ასლი, სანამ დოკუმენტებს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოს გაუგზავნით.

## საკონტროლო სია



ფორმას დაერთვის საკონტროლო სია, რომელიც მოიცავს ყველა დამატებით ინფორმაციას და დოკუმენტს, რომელიც უნდა გაგზავნოთ თქვენს განაცხადის ფორმასთან ერთად. აუცილებლად უნდა უპასუხოთ ფორმაში მოცემულ ყველა შეკითხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ განაცხადის განხილვა არ მოხდება.



შეეცადეთ პირადად ჩააბაროთ თქვენი განაცხადის ფორმა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სამსახურში და ისინი გადაამოწმებენ, პასუხი გაეცით თუ არა ყველა საჭირო შეკითხვას.

ისინი ასევე დაგეხმარებიან იმაში გარკვევაში, რომ თქვენ წარმოადგინეთ ყველა დამატებითი დოკუმენტი, რომელიც თქვენი განაცხადისთვის გჭირდებათ.



ქვემოთ განვიხილავთ და განვმარტავთ თქვენთვის საჭირო ყველა დამატებით ინფორმაციას და დოკუმენტს:

## პერსონალური ინფორმაცია



- საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ფოტოსურათით (პასპორტი ან მართვის მოწმობა).
- დაბადების მოწმობები (თქვენი და თქვენთან ერთად განმცხადებელი ნებისმიერი სხვა პირის, მაგალითად პარტნიორის)
- PPS ნომრები (თქვენი და თქვენთან ერთად განმცხადებელი ნებისმიერი სხვა პირის).
- ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მათ შორის ელექტროენერჯის ღირებულების გადახდის ქვითარი).



## ინფორმაცია შემოსავლების შესახებ



ჩვენ გვჭირდება ინფორმაცია და მტკიცებულება განმცხადებელი პირების მიერ მიღებული ყველა თანხის შესახებ, მათ შორის ხელფასის და შემოსავლის ჩათვლით.

### დასაქმება

- თუ თქვენ (და თქვენთან ერთად განმცხადებელი ნებისმიერი პირის) იყავით დასაქმებული განვლილი 12 თვის განმავლობაში, ჩვენ დაგვჭირდება შემდეგი ინფორმაცია:

### მიმდინარე წელი

- თქვენი სახელფასო უწყისები სამსახურებიდან, რომელშიც დასაქმებული იყავით მიმდინარე წლის იანვრიდან.

### ან

- საგადახდო და საგადასახადო ინფორმაცია (მიმდინარე წლის) შეგიძლიათ მიიღოთ შემოსავლების სამსახურის ონლაინ სერვისის გამოყენებით (myAccount). ის მოიცავს თქვენს ყველა სამსახურს, მიმდინარე წლის განმავლობაში განაცხადის თარიღამდე.

Employer No	Employee Name	Payment Date	Related Income Number
0834	FULL NAME HERE	20/12/2005	NP00000009
<b>Payments</b>		<b>Debit</b>	
Gross Salary	1.00 3750.00 3750.00	PAYE Tax	845.19
Monday		National Insurance	255.82
Payment Method: Cheque			
FULL NAME 35 ANYWHERE COURT KENSINGTON SW13 0DD		Tax Period: 10 Total Gross Pay 3750.00 Gross for Tax 3750.00 Earnings for NI 2730.00	Tax Code: 489L Total Gross Pay TD 3750.00 Gross for Tax TD 845.19 Tax Paid TD 2730.00 National Insurance TD 255.82
COMPANY NAME		Net Pay 2639.19	

### გასული წელი

- ამონაწერი დავალიანების შესახებ შეგიძლიათ მოსთხოვოთ შემოსავლების სამსახურის ონლაინ სერვისის (myAccount) გამოყენებით, ან თქვენს ადგილობრივ საგადასახადო სამსახურს. ამონაწერი დავალიანების შესახებ საგადასახადო წლის განმავლობაში თქვენი საგადასახადო ვალდებულების საბოლოო შეფასებას წარმოადგენს. ადრე მას ეწოდებოდა P21 - ამონაწერი წლის ბოლოს.

### და

- ინფორმაცია დასაქმების შესახებ ეს დოკუმენტი შეგიძლიათ მიიღოთ შემოსავლების სამსახურის ონლაინ სერვისის (myAccount) გამოყენებით.

Revenue



# ინფორმაცია შემოსავლების შესახებ (გაგრძელება)

## სოციალური შემოსავალი



- თუ თქვენ (და თქვენთან ერთად განმცხადებელი ნებისმიერი პირი) იღებთ სოციალურ დახმარებას, მოგიწევთ ამგვარი დახმარების შესახებ ინფორმაციის და მტკიცებულებების გამოგზავნა. დოკუმენტი შეგიძლიათ მიიღოთ სოციალური დაცვის დეპარტამენტში.

- დოკუმენტში განსაზღვრული იქნება თანხები, რომლებსაც ამ სამსახურიდან იღებთ.



## თვითდასაქმებული

- თუ თქვენ თვითდასაქმებული ხართ, დაგჭირდებათ სულ მცირე 2-წლიანი ანგარიში აუდიტორის დასკვნით და შეფასების სახებ შეტყობინება და/ან თვით-შეფასების აღიარების წერილი (ბოლო 12 თვისთვის).

## პენსია

Employer ID	Employee Name	Payroll Date	Retiring pension number
0834	FULL NAME HERE	20/12/2005	NP0000009
<b>Payments</b>	<b>Units</b>	<b>Rate</b>	<b>Amount</b>
Gross Salary	1.00	3750.00	3750.00
Monthly			
Payment Method:			
Cheque			
			<b>Deductions</b>
			PAYE Tax
			National Insurance
			265.52
<b>FULL NAME</b>	<b>35 ANYWHERE COURT</b>	<b>Tax Period: 10</b>	<b>Total Gross Pay TD</b>
<b>KENSINGTON</b>	<b>SW2 0DG</b>	<b>Tax Code: 489L</b>	<b>37500.00</b>
		<b>Total Gross Pay</b>	<b>Gross for Tax TD</b>
		<b>3750.00</b>	<b>37500.00</b>
		<b>Gross for Tax</b>	<b>Tax Paid TD</b>
		<b>3750.00</b>	<b>8451.90</b>
		<b>Earnings for NI</b>	<b>Earnings for NI TD</b>
		<b>2730.00</b>	<b>27300.00</b>
			<b>National Insurance TD</b>
			<b>2596.20</b>
<b>COMPANY NAME</b>		<b>Net Pay</b>	<b>2638.19</b>

- თუ თქვენ საჯარო სამსახურის საპენსიო სქემის წევრი ხართ, ან იხდით დამატებით საპენსიო შენატანებს (ASC), ასევე უნდა წარმოადგინოთ
  - თქვენს მიერ გასული წლის განმავლობაში განხორციელებული გადახდების ქვითარი, და
  - მიმდინარე წელს თქვენი ბოლო გადახდის ქვითარი



## თქვენთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (თუ ეს არ გეხებათ, შეგიძლიათ დაწეროთ N/A)



- ინფორმაცია და მტკიცებულება თქვენი ან თქვენთან ერთად განმცხადებელი პირის ირლანდიის მოქალაქეობის, ან ამ ქვეყანაში ცხოვრების ნებართვის შესახებ (იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გაცემული წერილის სახით).



- ქორწინების მოწმობა.



- გაყრის/განქორწინების შესახებ შეთანხმების ასლი.




- ინფორმაცია და მტკიცებულება ქირავნობის ხელშეკრულების და საცხოვრებელი ქირავნობის საბჭოს რეგისტრაციის შესახებ, თუ თქვენ საცხოვრებელს ახლა ქირაობთ.



- ინფორმაცია თქვენს (ან თქვენთან ერთად განმცხადებელი ნებისმიერი პირის) საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების ან მიწის ნაკვეთის შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ამ ქონების ადგილმდებარეობას, ღირებულებას, მდგომარეობას და მასთან დაკავშირებით თქვენს მიერ მიღებულ თანხებს.



- თუ თქვენ ფლობთ სახლს და იპოთეკის გადახდის პრობლემა გაქვთ, უნდა წარმოადგინოთ დავალიანების შესახებ წერილი თქვენი სესხის გამცემისგან.
- წერილი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან ან უფლებამოსილი საბინაო ორგანოსგან, ტერიტორიაზე, რომელზეც ცხოვრობდით, თუ თქვენ ადრე იღებდით სოციალურ საბინაო დახმარებას.



- ინფორმაცია და მტკიცებულება ადგილობრივ ტერიტორიასთან კავშირის არსებობის შესახებ, თუ თქვენ აღარ ცხოვრობთ იქ. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მტკიცებულება, რომ თქვენ ამ ადგილზე ადრე ცხოვრობდით



- ფორმა შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სამედიცინო ინფორმაციის შესახებ. ეს ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოდან. ამ ფორმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.
- ოკუპაციური თერაპევტის (OT) ანგარიში იმის შესახებ, თუ რა დაგჭირდებათ თქვენს სახლში, მაგალითად აღჭურვილობა ან სახლის გადაკეთება, რათა ის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს.

# ეს ფორმა 12 ნაწილისგან შედგება და წარმოადგენს ამ ნაწილებთან დაკავშირებულ სახელმძღვანელოს



## ნაწილი 1: თქვენ შესახებ (პერსონალური ინფორმაცია)

- ამ ნაწილით მოთხოვნილია ისეთი ინფორმაცია, როგორც არის თქვენი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, მიმდინარე მისამართი და ა.შ.
- თუ თქვენთან ერთად სოციალურ საბინაო მოთხოვნას სხვა პირიც (მაგ. თქვენი პარტნიორი) წარადგენს, მანაც უნდა შეავსოს თავისი პერსონალური ინფორმაცია.



## ნაწილი 2: საიდან ხართ (ინფორმაცია ნაციონალობის შესახებ)

- ამ ნაწილით მოითხოვება ინფორმაცია თქვენი დაბადების ადგილის, სასაუბრო ენის, მოქალაქეობის სტატუსის (მაგალითად, ირლანდიელი ხომ არ ხართ) შესახებ.



## ნაწილი 3: სად მუშაობთ (ინფორმაცია დასაქმების შესახებ)

- ამ ნაწილით მოითხოვება ინფორმაცია თქვენი სამუშაო ადგილის შესახებ.
- უნდა მიუთითოთ კომპანიის სახელწოდება და მისამართი.

## ნაწილი 4: თქვენს მიერ გამომუშავებული ანაზღაურება (ინფორმაცია შემოსავლის შესახებ)

Employer No	Employee Name	Payroll Date	Employee Number																																																						
0834	FULL NAME HERE	20/1/2005	NP0000008																																																						
<b>Payments</b> Gross Salary Monthly Payment Method: Cheque		<table border="1"> <thead> <tr> <th>Units</th> <th>Rate</th> <th>Amount</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1.00</td> <td>3750.00</td> <td>3750.00</td> </tr> </tbody> </table>	Units	Rate	Amount	1.00	3750.00	3750.00	<table border="1"> <thead> <tr> <th>Debitations</th> <th>Amount</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>PAYE Tax</td> <td>845.19</td> </tr> <tr> <td>National Insurance</td> <td>265.62</td> </tr> </tbody> </table>	Debitations	Amount	PAYE Tax	845.19	National Insurance	265.62																																										
Units	Rate	Amount																																																							
1.00	3750.00	3750.00																																																							
Debitations	Amount																																																								
PAYE Tax	845.19																																																								
National Insurance	265.62																																																								
FULL NAME 25 ANYWHERE COURT KENSINGTON SW3 0JQ		<table border="1"> <thead> <tr> <th>Units</th> <th>Rate</th> <th>Amount</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>Tax Period: 10</td> <td>Tax Code: 489L</td> <td>Total Gross Pay TD</td> </tr> <tr> <td>Total Gross Pay</td> <td>3750.00</td> <td>3750.00</td> </tr> <tr> <td>Gross for Tax</td> <td>3750.00</td> <td>Gross for Tax TD</td> </tr> <tr> <td>Earnings for NI</td> <td>2730.00</td> <td>2730.00</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>National Insurance TD</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>2656.20</td> </tr> </tbody> </table>	Units	Rate	Amount	Tax Period: 10	Tax Code: 489L	Total Gross Pay TD	Total Gross Pay	3750.00	3750.00	Gross for Tax	3750.00	Gross for Tax TD	Earnings for NI	2730.00	2730.00			National Insurance TD			2656.20	<table border="1"> <thead> <tr> <th>Units</th> <th>Rate</th> <th>Amount</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td></td> <td></td> <td>Total Gross Pay TD</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>3750.00</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>Gross for Tax TD</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>3750.00</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>Tax Paid TD</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>845.19</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>Earnings for NI TD</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>2730.00</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>National Insurance TD</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td>2656.20</td> </tr> </tbody> </table>	Units	Rate	Amount			Total Gross Pay TD			3750.00			Gross for Tax TD			3750.00			Tax Paid TD			845.19			Earnings for NI TD			2730.00			National Insurance TD			2656.20
Units	Rate	Amount																																																							
Tax Period: 10	Tax Code: 489L	Total Gross Pay TD																																																							
Total Gross Pay	3750.00	3750.00																																																							
Gross for Tax	3750.00	Gross for Tax TD																																																							
Earnings for NI	2730.00	2730.00																																																							
		National Insurance TD																																																							
		2656.20																																																							
Units	Rate	Amount																																																							
		Total Gross Pay TD																																																							
		3750.00																																																							
		Gross for Tax TD																																																							
		3750.00																																																							
		Tax Paid TD																																																							
		845.19																																																							
		Earnings for NI TD																																																							
		2730.00																																																							
		National Insurance TD																																																							
		2656.20																																																							
COMPANY NAME			Net Pay 2639.19																																																						

- უნდა მიუთითოთ კვირაში თქვენს მიერ მიღებული შემოსავლის ან ხელფასის რაოდენობა გადასახადების გარეშე (ბრუტო ანაზღაურება). ეს შესაძლოა იყოს თქვენს მიერ მიღებული თანხები, ხელფასი, სოციალური დახმარება ან ნებისმიერი სხვა სახის ანაზღაურება.
- ამის შემდეგ უნდა განსაზღვროთ რა რაოდენობით თანხა გექვითებათ, როგორც არის PAYE, PRSI.

## ნაწილი 5: თქვენთან ერთად განმცხადებელი სხვა პირები (ოჯახის სხვა წევრები)



- ამ ნაწილით მოთხოვნილია ინფორმაცია თქვენს სახლში მაცხოვრებელი სხვა პირების შესახებ. მაგალითად, თქვენი პარტნიორის ან შვილების შესახებ.
- უნდა მიუთითოთ ისეთი ინფორმაცია, როგორც არის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ქვეყანა, მოქალაქეობის სტატუსი, სქესი, საოჯახო მდგომარეობა.

## ნაწილი 6: სად ცხოვრობთ ახლა (მიმდინარე საცხოვრებელი მისამართი)



- ამ ნაწილში მოთხოვნილია ინფორმაცია თქვენი მიმდინარე ადგილსამყოფლის და მისამართის შესახებ.
- ეს ნაწილი მოითხოვს ინფორმაციას იმის შესახებ, ხომ არ ფლობთ ან ქირაობთ სახლს და რა სახის საცხოვრებელია ეს.
- თუ თქვენ სახლს ქირაობთ, უნდა წარმოადგინოთ ამის ინფორმაცია და მტკიცებულება.



- ეს ნაწილი ითხოვს დახმარების მოთხოვნის მიზეზის მითითებას (მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზი).
- ამის შემდეგ უნდა ახსნათ, რა არის თქვენს საცხოვრებელ სახლში.



## ნაწილი 7: ადრე სად ცხოვრობდით (ინფორმაცია ადრე თქვენი საცხოვრებლების შესახებ)



- ამ ნაწილით მოგეთხოვებათ წარმოადგინოთ ინფორმაცია გასული 5 წლის განმავლობაში თქვენი საცხოვრებელი სახლების შესახებ.



## ნაწილი 8: როგორი სახლი გჭირდებათ (მოთხოვნები საბინაო პირობების შესახებ)

- ამ ნაწილში გეკითხებიან ხართ თუ არა ირლანდიელი მოგზაური.

ამით განისაზღვრება ხართ თუ არა მოგზაური და გაქვთ სურვილი ჩაერთოთ მოგზაურთა განსახლების პროგრამაში.




ამ ნაწილში განისაზღვრება ადგილობრივი უწყებებისთვის საჭირო ინფორმაცია მოგზაურთა განსახლების პროგრამების გასაუმჯობესებლად.

ეს ინფორმაცია არ იმოქმედებს იმაზე, აქვს თუ არა პირს უფლება მოითხოვოს სოციალური საბინაო დახმარება.



- ამ ნაწილში ასევე გეკითხებიან რა სახის საბინაო დახმარება დაგჭირდებათ იმისათვის, რომ თქვენი საცხოვრებელი მეტად ხელმისაწვდომი გახადოთ. მაგალითად, აბაზანის, სამინებლის ცვლილება ან პანდუსების დამონტაჟება.



- თუ თქვენი განაცხადი ეფუძნება სამედიცინო ან შეზღუდული შესაძლებლობის საჭიროებებს, საჭიროა მიუთითოთ ინფორმაცია თქვენი ამგვარი საჭიროებების შესახებ.
- თუ თქვენი განაცხადი ეფუძნება სამედიცინო ან შეზღუდული შესაძლებლობის საჭიროებებს, ასევე უნდა შეავსოთ დამატებითი ფორმა - შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ და/ან სამედიცინო ინფორმაციის ფორმა.

ეს ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან. ამ ფორმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

## ნაწილი 9: განაცხადის წარდგენის საფუძველი



- საბინაო დახმარებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ მხოლოდ ერთ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოს.
- იმ ტერიტორიის ხელისუფლების ორგანოს დასახელება, სადაც ცხოვრება გსურთ, განაცხადის ფორმის პირველ გვერდზე მიეთითება.
- ეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო უნდა იყოს თქვენი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ტერიტორია.
- თქვენ მოგთხოვენ აირჩიოთ ამ ტერიტორიაზე სასურველი საცხოვრებელი ადგილი.



- ყურადღებით აირჩიეთ ეს ტერიტორიები. დაფიქრდით ისეთ საკითხებზე, როგორც არის კომუნალური სერვისები, ტრანსპორტი, ოჯახთან და მეგობრებთან კავშირი, ასევე თქვენს მიერ არჩეულ ადგილზე საცხოვრებელი სახლების ტიპი.



- შეგიძლიათ განაცხადით მოითხოვოთ სხვა ტერიტორია, თუ თქვენს სახლში მაცხოვრებელ პირს აქვს ამ ტერიტორიასთან კავშირი.

- ტერიტორიასთან კავშირი გულისხმობს, რომ ეს ადამიანი:

- ცხოვრობდა ამ ადგილზე 5 წლის განმავლობაში,

- მუშაობს ამ ტერიტორიიდან 15 კმ-ის რადიუსში,

- ამ ტერიტორიაზე დადის სკოლაში ან კოლეჯში,



- საჭიროებს საგანმანათლებლო ან სამედიცინო მომსახურებას ტერიტორიაზე,



- ნათესავი ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. სიტყვაში „ნათესავი“ იგულისხმება მშობელი, მოზრდილი შვილი ან დედამამიშვილი. ეს ასევე შესაძლოა მოიცავდეს სხვა ნათესავს, რომელსაც აქვს მჭიდრო კავშირი ოჯახის წევრთან.

## ნაწილი 10: თქვენს საკუთრებაში არსებული სხვა სახლები (ინფორმაცია სხვა უძრავი ქონების შესახებ)



- ამ ნაწილში უნდა გაცეთ პასუხი შეკითხვაზე თქვენს საკუთრებაში შესაძლოდ არსებული უძრავი ქონების ან მიწის ნაკვეთის შესახებ.
- მასში მოთხოვნილია ინფორმაცია თქვენთან ერთად განმცხადებელი პირის უძრავი ქონების ან მიწის ნაკვეთის შესახებ.
- თუ შეკითხვა თქვენ არ გეხებათ, ჩაწერეთ N/A.

N/A

## ნაწილი 11: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და სხვა ინფორმაცია



- ამ ნაწილში მოთხოვნილია ინფორმაცია იმის შესახებ, გქონიათ თუ არა რაიმე პრობლემა „Gardaí“-სთან.

## ნაწილი 12: სხვა ინფორმაცია



- მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ან დაგეხმარებათ თქვენი განაცხადის მხარდასაჭერად.



## დათქმა



განაცხადის ფორმის ბოლოს არის ნაწილი, სადაც უნდა მოაწეროთ ხელი და დაადასტუროთ „დათქმა“.

ყურადღებით წაკითხეთ დათქმის ნაწილი და ხელი მოაწერეთ მას. თუ თქვენთან ერთად სხვა ადამიანიც არის განმცხადებელი, მან ასევე უნდა მოაწეროს ხელი დათქმის ნაწილს.



თუ თქვენ გჭირდებათ ამ ფორმის შევსებაში დახმარება, შეგიძლიათ დაუკავშირდეს თქვენი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს საბინაო განყოფილებას ან მოქალაქეთა ინფორმირების ცენტრს და ისინი დაგეხმარებიან. ასევე დაგეხმარებათ თქვენთვის სანდო ადამიანი.

# საინფორმაციო ფორმა შეზღუდული შესაძლებლობების/სამედიცინო საჭიროებების შესახებ



## რას უკავშირდება ეს ფორმა?

თუ ითხოვთ სოციალურ საბინაო დახმარებას, რადგან თქვენ გაქვთ შეზღუდული შესაძლებლობა, თქვენ უნდა შეავსოთ სხვა ფორმა.

ფორმას ეწოდება HMD - ფორმა 1 ეს ფორმა შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსგან.



## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

შეგიძლიათ მიიღოთ პრიორიტეტული სტატუსი საბინაო მხარდაჭერისთვის, თუ თქვენ გექნებათ შეზღუდული შესაძლებლობის ან სამედიცინო მდგომარეობა.

ეს დამოკიდებული იქნება თქვენს საცხოვრებელ პირობებზე.

ფორმაში ოთხი ნაწილია. თქვენ თავად უნდა შეავსოთ 1-ლი და მე-2 ნაწილები.

ნაწილი 3 და ნაწილი 4 უნდა შეავსოს სამედიცინო სფეროს ორმა წარმომადგენელმა.

სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი მოიცავს შემდეგ პროფესიებს: კონსულტანტი, ზოგადი პრაქტიკოსი (GP), ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მედდა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მედდა, ოკუპაციური თერაპევტს და სოციალურ მუშაკს.

შესაძლოა დაგჭირდეთ ოკუპაციური თერაპიის (OT) ანგარიში, თქვენი საბინაო საჭიროებებიდან გამომდინარე, მაგალითად, ხომ არ დაგჭირდებათ სახლის გადაკეთება, რათა ის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს თქვენთვის.



## ეს ფორმა 4 ნაწილისგან შედგება და წარმოადგენს A სახელმძღვანელოს ამ ნაწილებზე



### ნაწილი 1: საინფორმაციო ფორმა შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სამედიცინო საჭიროებების შესახებ

- ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ ინფორმაცია თქვენი შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სამედიცინო საჭიროებების შესახებ.

### ნაწილი 2: თქვენ შესახებ (პერსონალური ინფორმაცია)

- ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ, მაგალითად: თქვენი სახელი და გვარი და დაბადების თარიღი.



### ნაწილი 3A: ინფორმაცია სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის შესახებ

- ამ ნაწილში სამედიცინო სფეროს ორმა წარმომადგენელმა უნდა მიუთითოს თავისი საკონტაქტო ინფორმაცია.
- თქვენი განაცხადის მხარდასაჭერად, ისინი შეავსებენ ფორმის სხვა ნაწილებს.



### ნაწილი 3B: ინფორმაცია მიმდინარე საცხოვრებლის შესახებ



- ამ ნაწილში სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს სთხოვენ მიუთითონ ინფორმაცია მოცემულ მომენტში ჩვენი საცხოვრებელი სახლის შესახებ და ხომ არ აქვს მას თქვენზე ცუდი გავლენა.

### ნაწილი 3C: ინფორმაცია საცხოვრებლის შესახებ



- ამ ნაწილში სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს ეკითხებიან, თქვენს საცხოვრებელში ცვლილების განხორციელებით თქვენ მიიღებთ თუ არა სარგებელს.

### ნაწილი 3D: დახმარების საჭიროებები



- ამ ნაწილში სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს ეკითხებიან იმ დახმარების შესახებ, რომელიც გჭირდებათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

### ნაწილი 4: სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების დათქმის ნაწილი



- სამედიცინო სფეროს ორი წარმომადგენელი ხელს აწერენ ფორმას და უთითებენ თარიღს.